540

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 13 ნოემბერი № 1640

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წლიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წლიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. —
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50კ.
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა აქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ხუთშაბათს, 15 ნოემ. **ქართული თეატრი** ბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« ელისაბედ ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ »

მ. აბაშიძის მონაწილეობით პირველად ახალი პიესა

I

მგლები და ცხვრები

კომედია 5 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

II

დედის ერთა

კომედია 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა და მდივანი. ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, ვედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, იმედაშვილი, მირიანაშვილი და სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

მზადდება წარმოსადგენად „სანატრელი ცოლი“, „ანდერძით“, „ტარტიუფი“ და სხვ.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიპოვის სახლი № 1

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. ვ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბებთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის: უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქ. ბათუმში

ექიმი სიმონ იაკობის ძე ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი სნეულებანი) დილის 9—12 საათამდე და საღამოს 3—5 საათამდე ღარიბებს უფასოდ. სმეკალოვის ქუჩა, ს. ვარძელოვის სახლი № 20. (10—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

„იეჟენი ნომრები“

(ბაროის ქუჩა სახლი მანთაშევისა)

სრულიად ახლად შეკეთებულია, შუაგულ ქალაქში, ფოსტა-ტელეგრაფის ახლოს. ნომრები 60 კ. და მეტი ფასისაც; თვიურად 15 მანეთიდან. (სისუფთავე და მეტი ყურადღება) (6—189—4)

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

„საქართველოს წმინდანები“

იყიდება წერა კითხვის კანცელარიაში. ფასი 40 კაპ. (5—4)

ე ქ ი მ ი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მკითხველთა წერილები

იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული

IV

ვისაც ცოტაოდენი ყურადღება მიუქცევია ჩვენში სწავლა-განათლების მდგომარეობისა და წარმატებისათვის, ის შენიშნავდა ფრიად სასიხარულო მოვლენას,—რომ გასულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედის განმავლობაში ფრიად გაიზარდა სწავლის სურვილი, განურჩევლად წოდებათა, ხალხში, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს მისი უზენაესი სურვილი, უმეტეს შემთხვევაში, დაუკმაყოფილებელი რჩება... რამდენი შრომა და ხარჯი, ხვეწნა და მუდარა გჭირია დღეს, რომ შენი შვილი მიაღებინო საშუალო სასწავლებელში, არამც თუ საშუალო სასწავლებელში—დასავლეთ საქართველოში დაბალ სასწავლებელშიაც კი უმეტეს შემთხვევაში კენჭის ყრით ღებულობენ ბავშვებს, რადგანაც ყველა მსურველთა მიღება შეუძლებელია უადგილობისა გამო *).

უფრო სამწუხარო ის არის, რომ მშობელმა თავისი ძალი და ღონე შეალია შვილის მზადებას და კიდევაც მოამზადა, დაიჭირა ბავშვმა ეგზამენი, მაგრამ არ ღებულობენ მას საშუალო სასწავლებელში უადგილობისა გამო. მაგალითად, 1900 წელს ქუთაისის და ბათუმის სავაჟო გიმნაზიებში და ქუთაისის რეალურ სასწავლებელში თხოვნა მისცა 663 კაცმა, ამათგან მიღებულ იქმნა 340 ბავშვი, დანარჩენ 323 ყმაწვილს უარი ეყო. ამ უკანასკნელთაგან 79 კაცმა თუმცა დაიჭირა ეგზამენი, მაგრამ უადგილობისა გამო არ მიიღეს, დანარჩენთაგანი ზოგი (70) არ გამოცხადდა შიშით, მაინც აღარ მიმიღებენო, ზოგმა ვერ გაუძლო კონკურსსა. ჩემის ფიქრით, იმერეთის თავად-აზნაურობამ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება. და აი როგორ: აუცილებლად უნდა გადაკეთდეს ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი სრულ გიმნაზიად. თუ ქუთაისის კომიტეტს შეუძლია ეს საშვილიშვილო საქმე როგორმე სხვა გზით მოახერხოს, იმ შემთხვევაში ოცი ათასი მანეთი უნდა განაწილდეს ოთხად და გაიხსნას ოთხი მოსამზადებელი სასწავლებელი, როგორც ძველ სენაკშია, ზუგდიდსა, რაჭაში, ზემო-იმერეთში და გურიაში. ამ სკოლებში ოთხის წლის განმავლობაში ბავშვი მშვენივრად მომზადდება გიმნაზიის პირველ კლასისათვის. ვისაც ჰსურს და იშოვის ადგილს, გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში შევა, დანარჩენი სათავად-აზნაურო გიმნაზიას მოაწყდება. ამ შემთხვევაში ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში აღარ იქნება საჭირო მოსამზადებელი კლასები.

ამერეთის თავად-აზნაურობა, ჩემის ფიქრით, უკეთესს ვერას იზამს, თუ ორს პროგიმნაზიას გორსა და თელავში გახსნის და აი რათა. ტფილისის სამს სავაჟო გიმნაზიაში სწავლობს სულ 2261 მოსწავლე; ამათგან რუსია 710 მოსწავლე, სომეხი 857 და ქართველი 385 ბავშვი,—რეალურ სასწავლებელში კი სწავლობს: რუსი—269, სომეხი 233 და ქართველი—77 მოსწავლე. რითი აიხსნება ასეთი სიმცირე ქართველ მოსწავლეთა ტფილისის სავაჟო საშუალო სასწავლებლებში? მხოლოდ მით, რომ ჩვენი ხალხი ჯერ-ჯერობით მაინც სოფლის ხალხია და, როგორც სოფლელს, ჩვენს ბავშვს ძლიერ უჭირს რუსულ ცოდნაში გვერდთ ამოუდგეს რუსსა და ქალაქის რუსულის მცოდნე სომხის ბავშვსა. ამიტომაც შეჯიბრებაში, კონკურსში პირველი ორი იმარჯვებს, ქართველი მარცხდება. მეორეც—სამი გიმნაზია და ერთი რეალური სასწავლებელი მთელის გუბერნიის მცხოვრებთა სურვილს ვერ აკმაყოფილებს. 1900 წელს ოთხსავე სასწავლებელში თხოვნა მიცემულ იქმნა 964. მიიღეს მხოლოდ ნახევარზე ცოტა ნაკლები—480 მოსწავლე. დანარჩენ 484 მსურველთაგან დაიჭირა ეგზამენი და უადგილობისა გამო აღარ მიიღეს 88 ბავშვი. უნდა ვიფიქროთ, არ მიღებულთაგან უმეტესი ნაწილი ქართველობა უნდა იყოს, როგორც უფრო სუსტი, მოუმზადებელი. გაუხსენით სასწავლებლები გორსა და თელავში, მიეცით გზა და ნახავთ, როგორ შეიცვალოს სურათი,—როგორ გამრავლდეს ჩვენ მოსწავლეთა რიცხვი საშუალო სასწავლებლებლებში და აგრეთვე უნივერსიტეტებშიაც. სირცხვილია, რომ ქართველობა ასე მცირე სწავლობდეს თავის სამშობლოში, სადაც მცხოვრებთა ნახევარზე მეტს ის შეადგენს.

ნიკო ჯანაშია

---

*) მაგ. წელს ორ-კლასიანი სასწავლებელნი ტობანიერისა, ლანჩხუთისა, თამაკონისა, აბალ-სენაკიას და სხვანი, სადაც კენჭის ყრით მიიღეს მსურველნი!

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ლორდ როზბერის 1 ნოემბერს ედინბურგში საგაჭრო პალატის ნადიმზე ულაპარაკნია თუმცა ორატორს უფრო მეტი უხუმრია, სინამ საქმეზე ულაპარაკნია, მაინც მის ნათქვამს ყველა გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს, რადგანაც ხმა დადის, რომ ლორდ როზბერი პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდება. ლორდ როზბერის ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა დაუსურათებია ჯერ და მერე უთქვამს:

«მე ვხედავ, რომ ამ ჟამად ჩვენ მეტად ბევრი დიდი საქმე გვაქვს გადასაწყვეტი, მაგრამ ამავე დროს ვხედავ, რომ ყველანი გულგრილად უცქერიან ამ საქმეებს. ვხედავ აგრეთვე, რომ მთავრობას სრულებით არ შეუძლიან ამ საქმეების გადაწყვეტა, ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენმა დასებმა თავიანთ უთანხმოება დაივიწყონ, შეერთდნენ და შეერთებულის ძალით საჭირო ღონისძიება მიიღონ. ამავე დროს ფიქრად მომდის: იქნება შეიძლებოდეს, რომ ზოგიერთი მინისტრის ბადლად ახალი წევრები ავარჩიოთ. ეჭვი არაა, ორივე ჩვენ დასს, ლიბერალებსაც და კონსერვატორებსაც, საკმაოდ ჰყავთ ჭკვიანი მჭევრ-მეტყველი დახელოვნებული და მაგარი ხასიათის პატრონი სახელმწიფო კაცები. ეს ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ ამნაირი ნიჭი მეტად ბევრს აქვს ჩვენში, ამიტომ ყველა ჩვენ სახელმწიფო კაცებს ერთნაირი ფერი აძევს. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას ორი დედა აზრი უდევს საფუძვლად. პირველი, ოპოზიცია ყოველთვის უნდა ჰკილხავდეს და ემტერებოდეს მთავრობის დასს; მეორე, როცა მოახერხებს და მთავრობას დაამხობს, მთავრობის ადგილი ოპოზიციამ უნდა დაიჭიროს. ამ ნაირი წესი მთელი ასი წლიწადი კარგად მოქმედებდა, მა-

ინც ჩემის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, ეს წესი ცოტათი შეიცვალოს ხანდახან სურვილი მომივლის და ვიფიქრებ ხოლმე, ნეტავი ჩვენი მინისტრები სულ საქმიანი ხალხნი იყვნენ და არა პოლიტიკოსები და ან სულ ახალი მინისტრები მიჩვენა მეოქი, რომ იმათში არც ერთი ეხლანდელი ან წინანდელი მინისტრი არ ერიოს (სიცილი), მაგრამ მოპასუხებენ, ბრძოლა ჩვენ დასებს შუა აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენმა კონსტიტუციამ წესიერად იმოქმედოსო. თუ ეს წესი ნამდვილად აუცილებელია, მაშ ჩვენც უნდა შევურიგდეთ და დავჯერდეთ, მაგრამ ეს წესი უფრო ზარალს გვაძლევს, ვიდრე ხეირს და იმედი მაქვს, მოვა დრო, როცა ეს წესი მოისპობა».

როზბერის ნალაპარაკევი და აზრები არავის არ მოსწონებია. დასების მოსპობა და «საქმიანი კაცების» მინისტრობა არავის მოუვიდათ ჭკუაში.

✿ არც თუ სამხედრო მინისტრის ბროდრიკის ნალაპარაკევი მოსწონებიათ გაზეთებს. გაზეთები, ნამეტნავად ლიბერალური, ძლიერ ჰკიცხავენ ბროდრიკს. მინისტრის აზრით, ბურების ქალები და ბავშვები ძლიერ იხოცებიან ბანაკებში, ეგ იმათივე ბრალიაო. ეს რა პასუხია, რა განმარტებააო. შემდეგ, მინისტრმა ხმა არ ამოიღო კაპის კოლონიის აჯანყებაზედ, როგორ შეიძლებოდა ამისთანა დიდი ამბავის დავიწყებაო. ან რა სათქმელია, რომ ბურები უმიზეზოდ ჰხოცვენ კაფრებსაო. ბურები მარტო მოღალატე კაფრებსა ჰხვრეტენ თოფით, ისიც მარტო იმის შემდეგ, როდესაც ჩვენმა მთავრობამაც მიჰცა ხელი და ბრალიანსა და უბრალოს თოფითა ჰხვრეტს და სასიკვდილოთ ჰსჯისო.

✿ ოპოზიცია მთავრობასა ჰკიცხავს, მთავრობა კიდევ ოპოზიციას სამაგიეროს უხდის და თავის თავს ამართლებს. ასე მიდის საქმე ეს ორ წელიწადზე მეტია, მაინც ომის გათავებას არა ეშველა-რა. ამ დროს ინგლისის ხაზინა კი თან-და-თან ილევა, ინგლისის ერს თან-და-თან ხარჯი ემატება. გაზეთები იუწყებიან: ლონდონში ხმა დადის: მთავრობას განზრახვა აქვს კიდევ 40 მილიონი გირ. სტერლინგი მოსთხოვოს პარლამენტს, 25 მილიონის საშოვნელად ახალ სახელმწიფო ქაღალდებს გამოსცემენ, 15 მილიონის საშოვნელად კიდევ გადასახადებს მოუმატებენ, ნამეტნავად შემოსავალზე დადებულ გადასახადს.

საფრანგეთი. საზღვაო საქმეთა მინისტრმა ლანესანმა განკარგულება მოახდინა: მეზღვაურებს სრული უფლება ეძლევათ თავიანთ სურვილისამებრ მოიქცნენ და წირვა-ლოცვას თუნდ დაესწრნენ, თუნდ არა. ეხლა ადმირალ კუვერვილს გადაუწყვეტია, ლანესანს შეეკითხოს, ეგეთი განკარგულება რად მოახდინეო. ადრე, საზღვაო მინისტრ ლოკრუას დროს, ადმირალ-კუვერვილი ფლოტის მთავარი შტაბის უფროსად იყო. ეს ადმირალი კლერიკალურ გაზეთ «კროა»-ში თანამშრომლობს თურმე, ამიტომაც ლანესანის განკარგულება ძლიერა სწყენია.

გაზეთები საინტერესო ცნობებსა ჰბეჭდვენ იმის შესახებ, თუ მეზღვაურები რა გულ-მოდგინედ ესწრებიან წირვა-ლოცვას გემებზე ჯავშნიან გემ «მასენა»-ზე 635 მეზღვაურთაგან მარტო 100-ოდე კაცი ესწრება ნიადაგ წირვა-ლოცვას. გემ «კარნო»-ზე 615 მეზღვაურია, ამათგან მარტო 20 კაცი დაიარება წირვა-ლოცვაზე. «ადმირალ ბოდენზე» მარტო — 50 კაცი დადის და სხვა ყველა გემებზედაც მეზღვაურები ამნაირადვე ესწრებიან თურმე წირვა ლოცვას. ზოგიერთ გემზე, მაგალითად, «ბრენუს»-ზე, «შანზი»-ზე და «ფულრო»-ზე, წლეულ სულ არ გადაუხდიათ წირვა-ლოცვა, რადგანაც მთელი წლის განმავლობაში არავის არ მოუსურვებია წირვის მოსმენა.

ავსტრო-უნგრეთი. გაზეთები ლაპარაკობენ, პარლამენტი ისევ დიდ გაჭირვებაში ჩავარდაო. ამ სესიის დროს ეს მეოთხედ გავრცელდა ამისთანა ხმა. არც ერთ ქვეყანაში არა ხდება ის ამბები, რაც ავსტრიაში ჰხდება. ეხლა მაინც ძლიერ გაუჭირდა პარლამენტს. თითონ პარლამენტიცა და საბიუჯეტო კომისიაც თითქმის გვრას არიგებენ, საქმე სრულებით არ მიდის წინა. კერბერი მეტად გაბოროტებულა. ამბობენ, თუ პარლამენტი ობსტრუქციაზე ხელს არ აიღებს, იმპერატორი დაითხოვს პარლამენტსაო.

✿ იმპერატორს აუდიენციაზე მიუღია რეიხსრატის პირველი ვიცე პრეზიდენტი გერმანელი კაიზერი (ერთგული დასის წევრია) და უთქვამს, მეტად მწყინს, რომ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტა და ბიუჯეტის დამტკიცება ასე ბრკოლდებაო. იმპერატორს უთქვა დასასრულ: იმედი მაქვს, პარლამენტი ამას იქით უფრო წესიერად მოიქცევაო. კაიზერს უპასუხნია: ჩემი დასი ყოველ-ნაირად ეცდება, რომ პარლამენტმა რიგზე მუშაობა შეიძლოსო.

✿ პოლონელების კლუბში დეპუტატი კოლიშერი ამტკიცებდა, პარლამენტის წესები უნდა შეიცვალოსო. დეპუტატმა სთქვა: ავსტრიის მრეწველობას კრიზისი მოელისო. ამ კრიზისს მარტო კარგი სადამოჟნო ტარიფი და ხეირიანი სავაჭრო პირობები აგვაცილებენ თავიდანაო. მაგრამ თუ ჩვენმა პარლამენტმა წესიერად არ იმუშავა, ვერც ტარიფს ვეღირსებით, ვერც სავაჭრო პირობებსო.

სამხრეთ-აფრიკა. ინგლისური გაზ. «სკოტსმანი» ის სამხრეთ-აფრიკელი კორესპონდენტი ასეთ ამბებს სწერს თავის გაზეთს:

«თუმცა მეტად სამწუხაროა, მაინც უნდა გამოვტყდეთ და ვსთქვათ, რომ ჩვენ წინააღმდეგ უმეტეს ნაწილად რესპუბლიკელების და კაპის კოლონიის საუკეთესო ოჯახი-შვილები იბრძვიან. ძლიერ შესცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ ჩვენ წინააღმდეგ მარტო გაუნათლებელი მივარდნილი ოლქების მოქალაქეები იბრძვიანო, პირიქით, ეხლა სამხრეთ-აფრიკაში დამოუკიდებლობისათვის უფრო განათლებული და მდიდარი ფერმერები იბრძვიან. ამ ფერმერებში ძალიან ბევრს, წინად რესპუბლიკების დროს, მაღალი სახელმწიფო ადგილი სჭერია, ბევრი მათგანი კაპის კოლონიაში და ორანჟეს რესპუბლიკაშია დაბადებული და განათლებაც იქ მიუღია. ყველანი ამბობენ, ბურებს იმ თავითვე რომ ასე გულმხურვალეთ ებრძოლათ, როგორც ამ ბოლოს დროს იბრძვიან, რესპუბლიკების დაპყრობა შეუძლებელი იქნებოდაო.

ბურების ჯარის თაობაზე «სკოტსმანი»ს კორესპონდენტი სწერს:

«მთავარ სარდალ ლუი ბოტას ოთხი ხელ-ქვეითი გენერალი ჰყავს: იან დელარეი — პრეტორიის დ იოჰანესბურგის დასავლეთით დ სამხრეთ-დასავლეთით მოქმედებსო. ბენ-ვილიოენი — ტრანსვაალის აღმოსავლეთში დ სამხრეთში მოქმედებს, გენერალი ჰერცოგი (მოსამართლედ იყო წინად) და ქრისტიან დევეტი — ესენი მთელ ორანჟეს რესპუბლიკაში მოქმედებენ. ყოველ გენერალს 800—2000 ხელ-ქვეითი ჯარის კაცი ჰყავს; ამათგან 200—300 კაცი ქვეითები არიან, დანარჩენნი სულ ცხენოსნები, ამას გარდა ყოველ გენერალს კიდევ რამდენიმე პატარ პატარა რაზმი ემორჩილება. ამ რაზმების ჯარის კაცები ყველგან დადიან და თვით პრეტორიასა და იოჰანესბურგამდე მიაღწევენ ხოლმე. «თავ-შესაფარ ბანაკებშიაც» კი შედიან და ახალ ამბებსა და წერილებს აწვდიან მეომარი ბურების ცოლებს და იქიდან კიდევ ქმრებთან მიაქვთ ამბები».

შეერთებული-შტატები. «მორნინგ პოსტი»ს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: «შეერთებული შტატების მთავრობამ თავის დელეგატებისაგან ამბავი მიიღო, შუა და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების დელეგატებს თავიანთ მთავრობათაგან საიდუმლო ინსტრუქციები ჰქონიათ მიცემული, მექსიკის კონგრესზე შეერთებულ შტატების წინააღმდეგ იმოქმედეთ და მის გავლენას ნუ დაემორჩილებითო. სამხრეთ-აფრიკის დელეგატები, სხვათა შორის, არა სთანხმდებიან, რომ ამერიკის სახელმწიფოთა შუა დავების გადასაწყვეტად სავალდებულო სამედიატორო სასამართლო დაწესდესო. რუზველტი ძალიან შეწუხებულია, რომ კონგრესზე ასეთი უთანხმოება ჰსუფევსო. პრეზიდენტი ჰფიქრობს, რომ სამხრეთ-ამერიკელი დელეგატების დათანხმება ძნელი საქმე იქნება და ამ დელეგატების ქცევას ბოლოს ის შედეგი მოჰყვება, რომ კონგრესის მოქმედება სრულებით უნაყოფოდ ჩაივლისო. ამას წინად სამხრეთ-ამერიკის დელეგატებმა რამდენჯერმე თითქო შეერთებული შტატების ჯიბრზე ისპანიის მეგობრობა და ერთ-გულობა გამოაცხადეს. განა დელეგატებს მართლა უყვართ ისპანია, მაგრამ ამ სიყვარულის გამოცხადებით შეერთებულ შტატებს დაანახვეს, რომ ამ სახელმწიფოს მფარველობა და ბატონობა ჭკუაში არ მოსდით.

✿ ნიუ-იორკიდან იწერებიან: პროტექციონისტები წინააღმდეგნი არიან, რომ სადამოჟნო ტარიფს მოაკლდეს რამე. პროტექციონისტები ამბობენ, მაქსიმალური და მინიმალური ტარიფი დავაწესოთო და როგორ ტარიფსაც სხვა სახელმწიფოები ჩვენთვის დააწესებენ, იმის მიხედვით ჩვენც ან მინიმალური ბაჟები დავადვათ იმ სახელმწიფოდან შემოტანილ საქონელს, ან მაქსიმალურიო.

ოსმალეთი. «დეილი მაილ»-ი და «დეილი ტელეგრაფ»-ი სწერენ: ამერიკელი კონსული და ყაჩაღები მორიგდნენ. ქ-ს სტონს ამ დღეებში გაანთავისუფლებენ. ყაჩაღებს ამერიკის მთავრობა 300,000 ფრანკს აძლევს და ამას გარდა დაჰპირდა, რომ პასუხის გებას არავინ მოგთხოვთო.

ჰოლანდია. «პარი ნუველ»-ი იუწყება: «ბურების მომხრე საზოგადოებას» ჰოლანდიაში 9 ნოემბრამდე (ახალი სტილით) სულ 2,475,525 ფრანკი მოუგროვებია ბურების სასარგებლოდ.

ახალი ამბავი

✦ კვირას, 11 ნოემბერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბ-ნ მიტკევიჩის თავჯდომარეობით სხდომა ჰქონდა ტფილისის **სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების** გამმართველ კომისიას. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წარსული წლის მოქმედების ანგარიში და ამოირჩია ბიუროს ახალი წევრები. ბიუროს თავჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ნ. ა. ხუდადოვი, თავმჯდომარის ამხანაგად ნ. ა. პლამენევსკი, ხაზინადრად — ალ. კაზლოვი, მდივნად ს. გ. კაპანაკოვი, მდივნის თანაშემწედ ვ. ი. მისენკოსა, საქმეების მმართველად ე. ა. შტეინი, აუდიტორიის გამგედ ვ. პ. კუზალოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ა. ევანგულოვი, ა. ი. მიტკევიჩი და ი. დ. კობიაკოვი.

✦ ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციამ შეატყობინა ქალაქის თავს, რომ ქალაქის შუამდგომლობა შემოსატან და გასატან **საქონელზე გადასახადის** დადების შესახებ წარედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს 1897 წლის 12 ივნისს და ეხლა ხსენებულ სამინისტროში არისო.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი **ბ. გედეონოვი** გამოვა პეტერბურგიდან 11 და ჩამოვა ტფილისში 16 ნოემბერს.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა სთხოვა ხსენებულ სამინისტროს რწმუნებულს **ბ. მედვედიევს** კავკასიის ყველა გვარის **ქერის კოლექციის** შედგენა და კომიტეტში გაგზავნა. მედვედიევმა ეს საქმე მიანდო თავის აგრონომებსა და ბოტანიკურ ბაღის გამგეს როლლოვს, რომელსაც კიდეც შეუდგენია ერთი კოლექცია და გაუგზავნია დანიშნულებისამებრ.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია სცადოს ამიერ კავკასიაში **ინდოეთის ერთის ხის** — testona grendis'-ის მოშენება. ამ ხეს ხმარობენ ჯავშნიან გემებისათვის და დიდი გასავალი აქვს ინგლისსა და ამერიკაში. თესლი უკვე მოსვლია

ფელეტონი

⁂

(მაიკოვიდან)

ნუ ამბობ, რომა ხსნა არსად არის,
ტანჯვაში ძალა გამოცლილია;
ვარსკვლავი მაშინ უფრო კაშკაშებს,
როს ღამე მეტად წყვდიად-ბნელია,
ღმერთი მაშინა უფრო ახლოა,
როს მწუხარება ღრმა და ძნელია.

ობოლი

1897 წ.

მწუხარე მოთხრობა

(წერილი ახალციხიდან)

უცნაურია ჩვენი სოფელი. უკვირდები მის ცხოვრებას, მაჯის ცემას, სულიერ ღუღილს და მაინც გაბედვით და თამამად ვერ ახერხებ სთქვა: აი სწორედ ეხლა კი გავიგე—რაც ყოფილა ეს ვაჟბატონიო. უცბად, მოულოდნელად, ისეთს რასმეს გამოატყვრენს, რომ სულ დავთრებს დაგიბნევს... უზომოდ მუშაობს სოფელი, დღესა და ღამეს ასწორებს, წელებზე ფეხს იდგამს, რომ ლუკმა-პურით უზრუნველ ჰყოს თავისი თავი და პირნათლად გამოვიდეს მეზობელსა და ნათესავთან, აგრეთვე მთავრობასთან. მშვენივრად იცის ფასი ყოველი გროშისა და მაინც, მიუხედავად ყველა ამისა, უცბად ისეთ უგუნურ ბედოვლათობას გამოიჩენს, რომ გაშტერებული დარჩები. ამასთანა საქციელს არც ლოღიკის ნასახი ეტყობა, არც მოფიქრება, ერთი სიტყვით, არაფერი, სრული უგუნურების გარდა.

თეორიული მოსაზრებით თავი რომ არ მოგაბეზროთ, გიამბოთ ერთ მაგალითს იმისას, თუ რა შრომა უნდება ქალამნების შეძენას. რასაკვირველია, ეს საერთო სურათი არ არის, მაგრამ სულ ერთია, ხომ ხდება სოფლად და მაშასადამე ანგარიში უნდა გაუწიოთ.

ერთ ავდრიან საღამოს, სოფლიდან მივეშურებოდი ფოსტის სადგურისაკენ. გულის გასაყოლებლად მასლაათი გაუბი ჩემ თანამგზავრს, ასე 15—16 წლის ხიზაბავრელ ყმაწვილ ბიჭს. მკვირცხლად, მკაფიოდ მიამბო სოფლისა და კერძოდ თავისი დარდი. თერთმეტი სული ხიზანი ვართ და სულ ორი დესეტინა მიწა გვაქვსო, რაც გავზრდილვარ, წმინდა ხორბლის პური არ მიჭამია, სულ ქერ ნარევს ვაცხობთო... აგე, ქალამანი შემომაცვდა და ყიდვა კი ვერ მომიხერხებიაო. მართლაც, ქალამნის ნაფლეთს კარგად შეზავებულ ტალახში ზორბა ტლაშა-ტლუში გაჰქონდა. ღმერთო შეგცოდე, გულში ცუდმა ეჭვმა გამიელვა— ამ მოუხეშავმა და გაუთლელმა, წერა-კითხვის უცოდინარმა ჯავახმა უმაღლეს დიპლომატიას ხომ არ მიმართა მეთქი, მაგრამ მალე გული დავიმშვიდე—ასეთს ოსტატობას როგორ გამოიჩენს გულუბრყვილო თხუთმეტის წლის სოფლის ბიჭი!

— მაშ, აგრე უქალამნოდ უნდა იარო ამ წვეტიან ქვებით სავსე უბედურ გზაზე?

— რადა; ხვალ-ზეგ ჰობარეთის ტყეში წავალ, შეშას მოვიტან ერთ საპალნესა, მერე ახალქალაქს წავიღებ (30 ვერსი იქნება), საპალნეს ორ აბაზად, ან ათ შაურად გავყიდი და იმითი ვიყიდი ქალამნებსო.

— მერე და რამდენი დღე მოუნდები?

— ხუთ-ექვს დღესა.

ხომ ხედავთ, ბატონებო. ხუთი, ექვსი დღე უნდა იმუშაოს, თავიც გამოიკვებოს ამ დროს, სახედარიც მოაცდინოს, ოც-დაათ ვერსზე უნდა ეთრიოს თოვლ-ჭყაპსა და ბანძახში, სიცივით იკანკალოს, მხოლოდ იმისთვის, რომ ერთი წყვილი ქალამანი შეიძინოს, რომელიც ორი თვის შემდეგ ისევ თავში საცემი გაუხდება. სულ ამნაირი ეპიზოდებისაგან შესდგება დღევანდელი ცხოვრება ჩვენი სოფლისა, განსხვავება დიდი არა არის-რა. შორიდან მაცქერალი ამას რომ ჰხედავ, ჰფიქრობ, რომ გლეხი კაცი, გროში რა არის, იმასაც კი ზედ უნდა აკვდებოდესო, ვიდრე ერთ შაურს დახარჯავდეს, ათასჯერ უნდა ასწონ-დასწონოს და მერე ისე გასწიოს ხარჯიო, მაგრამ ამ ლოღიკურ დასკვნას ადგილი აღარა აქვს სოფლის გზა-კვალ დაბნეულ ცხოვრებაში. უგუნურობა, უაზრობა სტიქიონურ ძალად გადაიქცა და ისე აპროწიალებს სოფელს, უმწეოდ და უპატრონოდ დარჩენილს, როგორც გრიგალი ბურბუშელასა.—

აი თვით მოთხრობაც ბედოვლათობისა, წინდაუხედავობისა, უაზრობისა და თუ გნე-

ტფილისის ბოტანიკურ ბაღს და სოხუმის საცდელ სადგურს. კერძო პირებს უფასოდ დაეთმობათ თესლი, თუ მოისურვებენ.

◆ პეტერბურგიდან **ჩამოვიდა** სამთო სამმართველოს უფროსი ბ. შოსტაკი.

◆ შაბათს დაბრუნდა პეტერბურგიდან ამიერ კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი ვერხოვსკი.

◆ გუშინ **ოლქის სასამართლომ** განიხილა ერთის მხრივ დრობიშევისა და ოსიპოვისა და მეორეს მხრივ ეგიაზაროვის საპელაციო საქმე. დრობიშევმა ქალაქის ნება დაურთველად განაგრძო მილის გაყვანა თავის ეზოში. მუშაობას თვალ-ყურს უგდებდა ოსიპოვი მუშაობის დროს ჩამოწვა მიწა და მოჰკლა მომჩივანის ეგიაზაროვის შვილი. ეგიაზაროვმა იჩივლა მომრიგებელ მოსამართლესთან და თხოულობდა დრობიშევისა და ოსიპოვის დასჯას და 586 მანეთის გადახდევინებას. მომრიგებელმა მოსამართლემ დაპატიმრება გადაუწყვიტა ბრალდებულებს და 586 მანეთი მიუსაჯა მომჩივანს. მომჩივანმაც და მოპასუხემაც საქმე გადაიტანეს ოლქის სასამართლოში, რომელმაც დაადგინა—უხადონ მოპასუხეთ მომჩივანს 5 მ. თვეში სიკვდილამდე და მის სიკვდილის შემდეგ—გარდაცვალებულის ცოლს; დანარჩენ ნაწილში ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის დადგენილება.

◆ დღეს, 13 ნოემბერს ტფილისის **სასამართლო პალატაში** განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: თედო ნიკურაძისა, ამბაკო ხოფერიასი, ნიკო ბერიძე და მინადორა ბირკაძისა, რომელთაც კაცის მოკვლა ედებათ ბრალად, ვასილ ბუკაძისა, რომელსაც ცრუ დაბეზღება ბრალდება, და იონა ბოჩიკაშვილისა და ბეგო ვარდანაშვილისა, რომელთაგან პირველს სასჯელთა დებულების მე-1653 მუხლისა, ხოლო მეორეს მე-377 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ.

◆ ყვირილიდან გვატყობინებენ, რომ ვიღაც უცნობმა **ხანჯლით დასჭრა** ვაგონების დამთვალიერებელი ალავიძე.

◆ ქალაქის უბნის ექიმმა კასუმოვმა დაათვალიერა **ტფილისის** ყველა **აგურხანები** და ანტისანიტარულ მდგომარეობაში ნახა ისინი. სულ 15 აგურხანა ყოფილა, ამათგან 5 ქალაქის სქლად დასახლებულ ნაწილში და 10-იც განაპირა ადგილებში. სასანიტარო-საექიმო ინსპექტორის აზრით, 5 აგურხანა ეხლავე უნდა დაიხუროს. რაც შეეხება დანარჩენებს, არც იმათი დატოვება შეიძლება თავიანთ ადგილებზე, რადგან ქალაქი იზრდება და ხალხი ესახლება ამ ადგილებში. ბ. სტეფანოვი წინადადებას აძლევს ქალაქის თვით-მმართველობას დაარსოს განსაკუთრებული კომისია ამ საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად.

◆ როგორც მკურნალ ქალის ფომინა-ოსიპოვას გამოკვლევით სჩანს, მეტად ცუდი სუნი **გერის დაღმართზე** გამოწვეულია ამ კუთხის ანტისანიტარული მდგომარეობით. უწინდებურად სადენი მილი მტკვრის ნაპირამდე არ არის მიყვანილი და ჯეროვანი ყურადღება არ აქვს მიქცეული ნაგვის საყრელ ადგილს. აღნიშნავს რა ამ გარემოებას, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას საჭირო ზომების მიღებას.

◆ ტფილისის გრენადერთა მე-15 პოლკის უფროსს განუცხადებია ტფილისის გუბერნატორთან, რომ მიუხედავად მრავალ გზის თხოვნისა, ტფილისის ქალაქის გამგეობამ არ მოგვაქცია ყურადღება და აქამდე **არ** შეაკეთა **დაღესტნისა და მურავიოვის ქუჩები**, რომელნიც მეტად ცუდს მდგომარეობაში არიანო. ეს განცხადება გუბერნატორმა გუშინ გაუგზავნა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რათა განკარგულება იქმნეს მოხდენილი აღნიშნულ ქუჩების შესაკეთებლად.

◆ ტრამვაის უსახელო საზოგადოების რწმუნებულმა შეატყობინა ქალაქის თვითმმართველობას, რომ **ელექტრონის ტრამვაისათვის** იგი მოიხმარს ორთქლის ძალას.

◆ დღეს, საღამოს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება ქალაქის საბჭოს იმ კომისიას რომელსაც მინდობილი აქვს მცხოვრებლებზე დარჩენილ **დასაფასებელ გარდასახადის** გამორკვევა.

◆ ტფილისის „მოკირწყლულ» ქუჩებზე **ავტომობილები** გაჩნდნენ.

◆ კვირას, 11 ნოემბერს, საღამოს 11 საათზე, პოლიციის მე-9 ნაწილში, კვირაცხოვლობის ქუჩაზე, გამიტაშვილის სახლში (№ 27) შემთხვევით **დაიჭირეს ქურდი**. საქმე ამ ნაირად მოხდა: ამ სახლში, სხვათა შორის, სცხოვრობს ერთის სომხის ოჯახობა; ამ ბინაზე 11 საათამდე სახლში არავინ ყოფილა, ხოლო ამ დროს ბაზრიდან დაბრუნდა კარგად შექეიფიანებული ბინის პატრონი მარტო. ცოტა ხანს შემდეგ მას უკან მოჰყოლია ერთი ვინმე, შეუმჩნევლად შესულა ბინაზე და დაუწყია სხვა-და-სხვა ნივთების შეგროვება. ამ დროს იქვე მეზობელ ოთახიდან გამოსულან სახლის პატრონის გ—ლისა და მდგმურის ე—ვის ქალიშვილები, შეუნიშნავთ საეჭვო კაცი და იმდენი სიყოჩაღე გამოუჩენიათ, რომ კარებები გარედან ჩაუკეტიათ და მოურთავთ ყვირილი. ყვირილზე მთელი ეზოს მცხოვრებნი მოცვივდნენ, გააღეს კარები და ნახეს საქალაქო სკოლის მოსწავლის ფორმის ტანისამოსში გამოწყობილი ასე 20—25 წლის ყმაწვილი კაცი. ხალხის შემოსვლაზე უცნობმა სთქვა, რაზე სწუხდებით, მე ქურდი არ გახლავართ, მე ამხანაგი ვარ ამ მოხუცის კაცის შვილისა, გვარად გვარამაძე, და ქალაქის სასწავლებელში ვსწავლობო. ქურდმა ესეები ისე მოხერხებულად სთქვა, რომ ბევრნი იქ მდგომნი დაიჯერა კიდეც და უნდოდათ გაეშვათ, მაგრამ ზოგიერთებს მაინც ეჭვი დარჩათ და მოინდომეს მისი გაჩხრეკა და ნამდვილ ვინაობის გაგება. ეს მით უფრო მოინდომეს, რომ მოხუცმა განაცხადა—მე არ ვიცნობ, ვინ არის ეგ კაციო. ამიტომ გ. მიქაძემ გახადა საეჭვო კაცს ყელიანი ჩუსტები და იქიდან ამოაცალა 15 სხვა-და-სხვა ფორმის გასაღები და უბიდგან გამოუღო რკინის წვეტიანი მოკლე კეტი; უნახეს აგრეთვე დანა და პასპორტი ვიღაც კერესელიძის სახელზე. ბევრი იტირა, გამიშვით, ნუ დამაჭერინებთო, მაგრამ პოლიციელებს დაუძახეს და გაგზავნეს მე-9 ნაწილში, სადაც მან შესცვალა თავისი ვინაობა და სთქვა—მე არც გვარამაძე ვარ და არც კერესელიძე, მე ბატყუაშვილი ვარ გვარადაო. ეს პასპორტი ჩემის ამხანაგის კერესელიძის არის, რომელიც არ ვიცი ეხლა სად არისო. დამნაშავე შეიპყრეს და გამოძიებას შეუდგნენ.

◆ ხაშურიდან გვწერენ, რომ რელსების გადმოღების დროს მუშა ტარასი არესაძეს მძიმედ დაუშავდა ბარძაყი.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში კიროჩნი ქუჩის პირას ოსიპ მათიშევსკის დაბმული ცხენი მოუპარავს თელავის მცხოვრებ ეფრემ ოგანეზოვს და სადღაც მიმალულა. პოლიციას, კარგა ხანს ძებნის შემდეგ, მიუგნია ცხენი, ჩამოურთმევია და პატრონისათვის დაუბრუნებია ხოლო დამნაშავე პასუხის გებაში მიუცია.

◆ პოლიციის პირველ ნაწილში, 8 ნოემბერს დაიჭირეს სპარსეთის ორი ქვეშევრდომი აბას-ტალიოღლი და სუნოჰ-ნალი-ოღლი, რომელთაც აღმოაჩნდათ ტფილისის მაზრის სოფლებში მოპარული ორი თხა, 3 ინდაური, 6 ქათამი და სხვ. ადამნაშავენი გარდასცეს ტფილისის მაზრის უფროსს.

კავკასიის გამოფენა

გუშინ-წინ გამოფენაზე ყოფილა 4782 კაცი, 10 ნოემბერს კი—392. სულ გამოფენის გახსნიდან ყოფილა—156,332 კაცი, ამათგან უფასოდ—6502. შემოსულა 26,170 მ.

**

კავკასიის შინად-მრეწველობის კომიტეტს გადაუდვია 300 მ. შინად-მრეწველობისათვის საჭირო იარაღებისა და სამაგალითო ნიმუშების შესაძენად და დასარიგებლად. ეს საქმე მიენდო ბ. ფირალოვს.

**

გამოფენის უმთავრესს კომიტეტს უთხოვნია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის გამოფენის დახურვა 21 ნოემბრისათვის. ამ ვადამდე ექსპონატების გატანის ნება არავის ექმნება.

**

კომისარიატმა სთხოვა თევზეულობის მრეწველობის სამმართველოს, ნუ წაიღებს ექსპონატებს 21 ნოემბრამდე.

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წლიური კრება

11 ნოემბერს დასრულდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა კრება; ამ დღეს აირჩიეს საზოგადოების ახალი წევრები, გამგეობის ოთხი წევრი და სარევიზიო კომისიის ერთი წევრი. კრება დაიწყო შუადღის 12 საათზე საზოგადოების თავმჯდომარის, თავ. ი. გ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების ახლად გარდაცვალებულის წევრის ბათუმის ქალაქის თავის ლ. ნ. ასათიანის სახელს.

კრების დაწყებისათანავე მცირე კამათი გამოიწვია ართემ ახნაზაროვის განცხადებამ იმის შესახებ, ვითომც 4 ნოემბრის საზოგადო კრების არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ ისეთ პირთ, რომელნიც საზოგადოების წევრები არ ყოფილანო; მაგალითად, ამას ამბობენ ბ.ბ. ლასხიშვილსა და გრძელიშვილის შესახებაო, სთქვა ახნაზაროვმა და დაუმატა, თუ ეს მართალია, წარსული არჩევნები უკანონოდ უნდა ჩაითვალონო.

გ. ლასხიშვილი განმარტავს, რომ ის საზოგადოების წევრად არჩეულ იქმნა 1896 წლის საზოგადო კრებაზე, მაგრამ სიაში ეს არჩევა არ შეუტანიათ, რადგან მაშინ საწევრო ფული არ გადაუხდია.

დ. კარიჭაშვილი, საზოგადოების მდივნად ნამყოფი, ამოწმებს ბ. ლასხიშვილის სიტყვას, რომ ის არჩეული იყო საზოგადოების წევრად და ამბობს, სიაში იმიტომ არ შევიტანეო, რომ ფული არ გადაიხადაო.

გ. ლასხიშვილი. როდესაც წევრთა სია დაიბეჭდა და მე ჩემი გვარი იქ ვერ ვნახე, დავეკითხე მდივანს; მან მიპასუხა, რომ საზოგადოების წევრად ითვლები, მაგრამ სიაში მაშინ მოვყვები, როდესაც ფულს გადაიხდი. ასეთივე პასუხი მომცა გამგეობის ახლანდელმა მდივანმა, ბ. პ. მირიანაშვილმა; მეც ფული გადვიხადე და ამიტომ ნება მივეცი ჩემს თავს მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში; ვთხოვ გამგეობას გამოარკვიოს ეს საკითხი.

გამგე. წევრი **ნ. ზ. ცხვედაძე** წესდების განმარტებით ხსნის, რომ ბ.ბ. ლასხიშვილი და გრძელიშვილი წევრებად არჩეულად უნდა ჩაითვალონ მიუხედავად იმისა, რომ არჩევისთანავე არ გადაუხდიათ საწევრო ფული.

მცირეოდენ კამათის შემდეგ კრებამ კანონიერად იცნო ამ პირთა არჩევნებში მონაწილეობა. გარდა ამისა ბ. ალ. მიქაბერიძემ შემდეგი განაცხადა: წარსულ კრებაზე, როგორც გადმომცეს, ზაქარია ყაზახაშვილმა ორ-ორჯელ ჩააგდო კენჭები ყუთში და როცა უკანასკნელ

ბავთ ბავშვობა-ყმაწვილობისა: ორი ძმა ბახუტაშვილი, რიდვანა და აბიტა უსეინ-ოღლები, სვირელები, შემეხვეწა—გვიპატრონე და შემწეობა აღმოგვიჩინე—ეგებ ჩვენმა მეზობელმა ყადირა იბრაჰამ-ოღლი ცხვეთაშვილმა (ცხვეთაძე) მამული დაგვიბრუნოსო და თავისი ფული უკან ჩაიბაროსო. საქმის გარემოება ასეთია: ბახუტაშვილები ექვსი ძმა კაცი ყოფილა; ოჯახი, გლეხის კვალობაზე, შეძლებული ჰქონიათ. ხუთი-ექვსი წლის წინად განუზრახავთ ოსმალეთში გადასახლება. მიუყიდ-მოუყიდიათ, რაც რამ ებადათ და ცოლ-შვილით გასდგომიან გზას. გაუვლიათ ქობლიანზე, გადაუვლიათ აჭარის ქედი, ჩასულან ბათომს, ჩამსხდარან გემში და გამგზავრებულან ოსმალეთისაკენ. ჯიბეში ექვსი თვის ბილეთი ჰქონიათ, ვითომც მექაში მოსალოცავად წასულან და ვითომც შემდეგ ისევ დაბრუნდებიანო. მთავრობას ამ სახით ატყუებენ, რადგან ქვეშევრდომობის გამოცვლა სახათაბალოა და უპეტერბურგოთ არ ხერხდება ასეთი საქმე. ბევრი ვიარეთო, სთქვეს ბახუტაშვილებმა, გავცდით ტრაპიზონს, სინოპს და მივედით ქალაქ ჩორუმსაო. ამ ქალაქიდგან,—ესე ახალციხის ოდენააო,—ხმელეთით სამი დღე ვიარეთ და ერთ სოფელში გავჩერდითო გვეგონა, აქ მამულს მოგვცემენ, დაგვასახლებენ და ბედნიერებას მოვეწევითო. დრო-ჟამი მიდიოდა, მაგრამ მამული არავინ მოგვცა, პატრონობა არავინ გაგვიწია, დავრჩით ასე ღვთის ანაბარად, როგორც ცხვრები უმწყემსოდ, წამოღებული ფული შემოგვეხარჯა, შიმშილით სიკვდილი მოგველოდა. ნაცნობ-მეზობლობა არავინ გვყავდა, ვინ შეგვიბრალებდა, შემწეობის ხელს ვინ გამოგვიწვდიდა? ავდექით და ქ. ჩორუმს დავბრუნდით, ვიფიქრეთ—ფადიშაჰის კაცებს ვნახავთ და ისინი გვიპატრონებენო. იმათ ფული გვთხოვეს; უფულოდ მამულს ვინ მოგცემთო. ჩვენ კიდევ ფული არა გვქონდა და ვიყავით ასე უბედურად ცის ქვეშე, უბინაოდ, უსახლ-კაროდ. დარდისა და მწუხარებისაგან ორი ძმა გარდაიცვალა, ქულფათობა სულ გაგვიწყდა, ერთმა ვერ აიტანა ვერც წყალი, ვერც ჰავა და ვერც საჭმელიო. პური რა არის, ისიც კი უბედური და უგემური იყოვო. გვითხრეს—ფადიშაჰს მიმართეთ და ის დაგაბინავებთ, მამულს უფასოდ მოგცემთო, მაგრამ ვინ მონახავდა ფადიშაჰს? კიდეც რომ ჩავსულიყავით სტამბოლს, ვინ მიგვიშვებდა იმის კართან?.. ტანისამოსიც სულ შემოგვეფლითა, ნამდვილ ღატაკსა, მათხოვარებს დავემზგავსენით... თვით ქ. ჩორუმშიც სამუშაო ვერა ვიშოვეთ-რა; აი, ხომ გვხედავთ, ორი ძმა კაცი დილიდან საღამომდინ ძლივს ხუთ შაურს ვშოულობდით, ამითი ცოლ-შვილს როგორ გამოვკვებავდითო. სამშობლო სოფელიც მოგვაგონდა, დარდმა გული დაღარა, დღე ღამ სულ სვირის ხსენებაში ვიყავით, ველარ გავძელით, ავდექით და გამოვსწიეთ უკან და აგერ ეხლა ხელ-მეორედ ვიწყობთ ოჯახობას.

— შევცდით, ბატონო, გაგვაბრიყვეს, დავნელდით, ოჯახი დავაქციეთ, ცოლშვილის ცოდო დავიდეთ; გვაპატიეთ და როგორმე გვიპატრონეთ, თქვენ ფეხს გკოცნით. (აქ, ახალციხეს, ასე ჰხატავენ მოწიწებით თხოვნას, ნაშთია ოსმალოს გავლენა-მფლობელობისა).

— მაშ ფაშობა, ბეგობა არ გიწყალობათ სულთანმა?—მაშ სამოთხე ვერ იხილეთ? სჩანს დედი-ნაცვლობა გაუწევია ოსმალეთს!..

—უარესი, ბატონო. ზედ არავინ შემოგვხედა, ტკბილი სიტყვა რა არის, ისიც კი არავინ გაგვაგონა.

—მერე და ვინ დაიდო თქვენი ცოდვა, ვინ გამოგკრათ ყელი და დაგიღუპათ ოჯახი?.. მოლები ხომ არ ურევიან თქვენს უბედურებაში?..

— არა, ბატონო. აქ არავინ გვაქეზებდა, იქიდან, ოსმალეთიდან მოდიოდა ბარათები—მოდით, რას აკეთებთ, აქ ყველაფერი მზადააო, ჩვენც გავბრიყვდით, მოვშალეთ ბინა და აგერ, ხომ გვხედავ, რა ნაირად დავიღუპენით.

— თქვე კაი კაცნო, განა დრო არ არის ჭკუა-გონებას მოხვიდეთ, ბავშვები ხომ არა ხართ? სამშობლოსა სტოვებთ, მიდიხართ უგზო-უკვლოდ, უსწავლელნი, საცალა, თქვენც არ იცით და გგონიათ, რაკი-ღა იქ მაჰმადიანი ფადიშაჰია, მაშინვე ბეგობას გიწყალობებთ, მამულს უხვად დაგირიგებთ და ცხელ-ცხელ ყაბლუ-ფლავს მოგართმევთ!

— გაგვაბრიყვეს, ბატონო, რაღა ეშველება წახდენილ საქმეს.

დიახ, სისხლის ოფლს მოიწურავს გლეხი, რომ იშოვოს რამე და მერმე ამ ათისა და ოცის წლის მონაგებ ბედოვლათურად დააბნევს სადღაც ჩორუმში მოგზაურობით. სადაა აქ აზრი, გონიერება, ანგარიში? ნასახიც არ მოიპოვება. ნუ თუ აქ მარტო რელიგიური ფანატიზმია? მაშ რიდვანა და აბიტა ბახუტაშვილნი და ზოგიც სხვანი რაღად დაბრუნდნენ გიაურებთან!

ა. ფრონელი.

ყუთთან მივიდა და მას ამის გამო დაეკითხნენ, განაცხადა—ჩოდრიშვილი არ დასწრებია კრებას და მე დამავალა მის მაგიერად ჩამეგდო კენჭიო.

ბ. **ჩოდრიშვილი** უპასუხებს—ეს სრული სიცრუეაო, რადგანაც მე აქ ვიყავი და თვით ვღებულობდი მონაწილეობას არჩევნებშიო, არც არავისთვის მიმინდვია ჩემ მაგიერ კენჭი ჩაეგდოო.

ზ. **ვაჩახაშვილმა** სთქვა, რომ სრულებით სიმართლეს მოკლებულია ბ. მიქაბერიძის განცხადება. მე ორი კენჭი კი არ ჩამიგდია და არც ჩოდრიშვილის მაგივრად; როცა კენჭების ყრა გავათავე, მივედი და ხელი მოვაწერე, ცოტა ხნს შემდეგ მომაგონდა, რომ იმ ყუთში, რომელიც დადგმული იყო ბათუმის სკოლის მასწავლებლის მოწვევის გადასაწყვეტად, მე დამავიწყებოდა კენჭის ჩაგდება და ამიტომ მეორედ ჩავარე ყუთებს, არსად კენჭი არ ჩამიგდია, გარდა აღნიშნულ ყუთისა; ხელი მოვაწერე და ჩოდრიშვილის მაგიერ არც ხელი მომიწერია და არც დაუვალებია ჩემთვის მის მაგივრად კენჭის ჩაგდება. ბ. ა. **ქუთათელაძემ** შეამოწმა ყაზახაშვილის ნათქვამი, რომ ეს უკანასკნელი მის წინ მიდიოდა და არსად კენჭი არ ჩაუგდია, გარდა ზემოდ აღნიშნული ყუთისა.

ამ განმარტებათა შემდეგ კრებამ ეს განცხადებაც უსაფუძვლოდ აღიარა და შეუდგა არჩევნებს. წინანდელ კრებაზე აურჩეველი დარჩა გამგეობის სამი წევრი, ხოლო, რადგანაც არჩეულმა ი. ს. გოგებაშვილმა უარი სთქვა, კვირის კრებაზე უნდა აერჩიათ გამგეობის ოთხი წევრი და ერთიც სარევიზიო კომისიის წევრი, ნაცვლად ვ. ა. სულხანიშვილისა, რომელმაც აგრეთვე უარი განაცხადა. არჩევნების შედეგი გუშინდელ №-ში გქონდა აღნიშნული. თანახმად ორთავე არჩევნებისა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას შეადგენენ: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე (თავჯდომარე), ნ. ზ. ცხვედაძე, ე. ს. თაყაიშვილი, დავ. კარიჭაშვილი, ივ. რატიშვილი, ა. ი. სარაჯიშვილი, ი. ს. ღულაძე, ნ. ელიავა, ივ. გომართელი, გ. მ. ლასხიშვილი, არჩ. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი და კ. ჯაფარიძე; სარევიზიო კომისია: ა. ს. ღულაძე, ბ.ბ. გოგიტიძე და მაყაშვილი.

კრება დაიხურა ნაშუადღევის მესამე საათზე.

ლუკა ასათიანის გასვენება ბათუმიდან

—

დღეს, ნოემბრის 10-ს, დილის თერთმეტ საათზე ქალაქის საბჭოს ჰქონდა საგანგებო კრება, რომელსაც ყველა ხმოსნები დაესწრნენ. თავმჯდომარემ ბ. ივანოვმა მოახსენა საბჭოს გარდაცვალება ქალაქის თავისა და მოკლე სიტყვით გაახსენა დამსწრეთ, თუ რა სამსახური მიუძღვის განსვენებულს ბათუმის წინაშე. დასასრულ ბ. ივანოვმა წინადადება მისცა საბჭოს განსვენებულის სახელის სახსოვრად უკვდავეყო საჭირო ხარჯი გასვენებისა ბათუმში და ქუთაისში მიიღოს ქალაქმა, დაწესდეს თითო სტიპენდია ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში და საქალაქო სასწავლებლებში (სტიპენდიანტები ამოირჩევიან საბჭოსაგან განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა). საბჭოს დარბაზში დაიკიდოს პორტრეტი განსვენებულის ქალაქის თავისა, ეხლანდელ ბაზრის ქუჩას დაერქვას ასათიანის ქუჩა და ქალაქისაგან კუბოზე დაედვას ვერცხლის გვირგვინი. საბჭომ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. შემდეგ წაკითხულ იქმნა ტფილისის ქალაქის თავის მოადგილის ბატ. შესტაკოვის სამძიმრის დეპეშა.

ნაშუადღევის პირველ საათზე გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. ოთხ საათზე დანიშნული იყო გამასვენება სადგურიდან ვაგზალზე ქუთაისში წასასვენებლად. დანიშნულ დროისათვის აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი; მოვიდნენ მოსწავლეები ყველა სასწავლებლებისა. ოთხ საათზე კუბო გამოასვენეს ხმოსნებმა და გამგეობის წევრებმა. აურაცხელი ხალხი დაიძრა ქუჩაში, შემოეხვია კუბოს, ასწიეს მაღლა და ეგრე მიასვენეს ვაგზალამდე, სადაც მცირე პანაშვიდი სრულდებოდა უთვალავ იმ დაწესებულებათა წინაშე, რომელზედაც განსვენებულს ამაგი ჰქონდა გაწეული. ვაგზალზე კიდევ მეტ ხალხს მოეყარა თავი და ყველა მწუხარე და მგლოვიარე იყო.

კუბო შეამკეს მშვენივრად მორთულ ვაგონში და გარს შემოუწყვეს მიძღვნილი გვირგვინები: ქალაქ ტფილისისაგან, ბათუმელ ებრაელთაგან, საქალაქო სასწავლებლისაგან, კასპიის და ზერნიმორიის საზოგადოებისაგან, ბათუმელ ქართველთაგან, ბერძენთა საზოგადოებისაგან, მომრიგებელ სასამართლოს გაყოფილების მოსამსახურეთაგან, ქართველ ნოქრებისაგან, ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთაგან და ქალაქ ბათუმისაგან მშვენიერი ვერცხლის გვირგვინი. დიდ ხანს ეხვეოდა ხალხი ვაგონს, რომლითაც ბათუმელები სამუდამოდ ისტუმრებდნენ თავის მოჯირნახულე ქალაქის თავს, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ემსახურა ბათუმს, რომელიც ასზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე თავის თავზე; ეს ყველამ იცოდა და ამიტომაც ასეთი მწუხარებით მაცილებდა მას ყველი ბათუმელი.

თავის მეორედ ამორჩევის შემდეგ განსვენებულმა რომ მადლობის სიტყვით მიმართა ამომრჩევლებს, სხვათა შორის სთქვა: «ჩემს მოხუცებულობას მთლად შრომას ვიმომშვენებს, შრომას—სასარგებლო იმათთვის, ვინც მე მანდობს დღეს ამ თანამდებობას და ჩემს სულის ჩემზედაა, და ვიცდები, რომ ჩემი მოხუცებულობა არ შევარცხვინო და თქვენი იმედიც გავამართლო ჩემდა შეძლების დაგვარათო» გულით ნათქვამი იყო ეს სიტყვები, რომელიც მან ასრულა კიდეც; ამიტომაც ასეთი მონაწილეობით ემშვიდობებოდა ხალხი ამ თავის ძვირფას მოჯირნახულეს ქართველობას იგი სამაგიეროდ ჰყავდა, როგორც მეტად ჭკვიანი, პატიოსანი და მშრომელი კაცი, და მწუხარეა ეხლა, რომ ასეთი პირი გამოაკლდა ჩვენს საზოგადოებას.

შვიდობა სულსა შენსა, პატიოსანო კაცო, ჩვენო ძვირფასო მოჯირნახულევ!

პ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

12 ნოემბერი

პეტერბურგი. დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოოზის ძე და დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოოზის ასული 10 ნოემბერს საზღვარ გარეთ წავიდნენ.

ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს: „რადგანაც 11 ნოემბერს შესრულდა 15 დღე მას შემდეგ რაც მოკვდა მეორე ჭირით ავათმყოფი ოდესაში და ამ ხნის განმავლობაში არავინ გამხდარა ჭირით ავად, ამიტომ კომისიამ შესცვალა შემდეგი ზომები: 1) აკრძალვა ისეთ საქონლის გადატანისა, რომელსაც შეეძლო ავადმყოფობის სხვაგან გადატანა, 2) დათვალიერება ოდესიდან მიმავალ გემებისა, 3) სანიტარული თვალყურის გდება ოდესიდან რკინის გზით მწამავალთა და 4) ჯარების გადაყვანის შეჩერება. ძალაში რჩება შემდეგი ზომები: 1) დათვალიერება იმ გემებისა, რომელნიც შავი ზღვის ნავთსადგურებში მიმოდიან და 2) გემებზე სავალდებულო ექიმების ყოლა.

ნიკოლაევის გრადონაჩალნიკი იტყობინება, რომ 24 ოკტომბერს ოდესიდან მოყვანილი ტუსაღი მოკვდა საეჭვო ავადმყოფობით, მაგრამ ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევით ეს ავადმყოფობა ჭირი არ არის.

ბათუმში, საქალაქო სამკურნალოში, აღმოაჩინეს ჭირით ავადმყოფი კაცი. ამ ავადმყოფობის დიაგნოზი ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებით არის დამტკიცებული. ავადმყოფი კაცი უკეთ არის. მიიღეს სასტიკი ზომები, რათა არ გავრცელდეს ეს ავადმყოფობა.“

სარატოვი. სასამართლომ განიხილა სარატოვის ფოსტის უფროსის ტეკფერდის საქმე, რომელსაც 20.000 მან. გაფლანგვის ბრალი ედება. ფული ქაღალდში წაუგია. ტეკფერდი გაამტყუნეს, ჩამოართვეს ყოველი ღირსება და სამის წლით გაგზავნეს პატიმართა განყოფილებაში. დანაშაულობის თანამოზიარე ვაჟარი გორანქინი საქმის გარჩევის წინა დღეს გარდაიცვალა.

კიევი. კეთილ შობილ ქალთა ინსტიტუტს ქალაქის ახლოს საავარაკო გაუმართავს, სადაც ზაფხულობით იცხოვრებენ უკანასკნელ კლასის მოსწავლე ქალები, აგრეთვე ისინი, ვინც საზაფხულოდ ინსტიტუტში რჩებიან.

ბორისოგლებსკი. აქ გახსნეს პირველი საყმაწვილო თავშესაფარი.

ეკატერინოსლავი. თოვლი მოვიდა. ჰყინავს.

ბრიუსელი. საერთაშორისო კონფერენცია შაქრის კითხვის გამო დანიშნულია 5 დეკემბრისთვის. მისაწვევ ცნობებს გაგზავნიან გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ისპანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ჰოლანდიაში, შვეციაში, იტალიაში და რუმინიაში. შეერთებული შტატები დაპატიჟებას არ მიიღებენ. საეჭვოა, რომ რუსეთმა მიიღოს მონაწილეობა. რუსეთს არ უნდა საშაქრო ჯილდოების (პრემიების) გაუქმება. საფრანგეთი დასთანხმდება ამ ჯილდოების გაუქმებაზე.

პარიზი პორტამ თანხმობა გამოაცხადა, რომ საფრანგეთის გემმა დარდანელში გაიაროს.

ლიბედიანი. საგანგებო საერობო კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რომ საწყობებში არ არის 2000 მანეთის სამეურნეო იარაღები, და 4-ის ხმის უმეტესობით დაადგინა სამართალში მისცეს გამგეობა.

სევასტოპოლი. ადგილობრივმა ოსმალეთის კონსულმა სთხოვა მთავრობას გამოუცხადოს კავკასიელ მაჰმადიანებს, რომ ოსმალეთის მთავრობა არ შეუშვებს მათ ოსმალეთში.

ათინა. სამინისტრო გადადგა სამსახურიდან.

ათინა. ზაიმისს თათბირი ჰქონდა მეფესთან; ჰფიქრობენ, რომ მას მიანდობენ ახალ სამინისტროს შედგენას.

ათინა. ზაიმისმა გაუგზავნა ღამე მეფეს სია ახალ მინისტრებისა: ზაიმისი—მინისტრი პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი (დროებით ზაიმისივე იქნება იუსტიციის მინისტრი), ტრიანდაფილოკოსი—შინაგან საქმეთა მინისტრი, ნევრისი—ფინანსებისა და პოლკოვნიკი კორპასი—სამხედრო მინისტრი. მინისტრები ხვალ დაიფიცებენ და წინადადებას მისცემენ პარლამენტს შესწყვიტოს მოქმედება.

ბელგრადი. სკუპშჩინა. სტარაია სერბიაში მომხდარ ამბების გამო მინისტრ პრეზიდენტმა სთქვა, რომ ძალ მომრეობა გამოწვეული იყო იმით, რომ მაკედონიის ადმინისტრაციამ მაკედონიის კომიტეტის მოქმედების გამო ეჭვის თვალით დაუწყო ყურება სერბიელებსაც. სერბია, რომელსაც მხარი მისცა რუსეთმა, ენერგიულად ერია საქმეში. უსკუბში გამოძიება მოახდინა რუსეთის კონსულმა და შემდეგ პორტამ მიიღო ზინოვიევის მიერ წარდგენილი მოთხოვნანი. ამასთანავე პორტამ პირობა დასდო, რომ იგი უკანვე მიიღებს გამოქცეულ სერბიელებს. რაც შეეხება უკანასკნელ საგანს, სერბიას უფლება აქვს საზღვარზე და აგრეთვე იმაზედაც, რომ ახალი ღონისძიება მიიღოს.

პარიზი სორბონაში ლუბეს თანადასწრებით სადღესასწაულო აქტი გამართეს ქიმიკ ბერტელოს 50 წლ. იუბილეის გამო. დაესწრნენ ინსტიტუტის წევრები, პალატის პრეზიდენტი, უცხოელ სამეცნიერო კორესპონდენტების წარმომადგენლები. ორატორებმა ბერტელოს სამეცნიერო დამსახურებაზე ილაპარაკეს. უცხოელმა წარმომადგენლებმა ადრესი მიართვეს. ბერტელომ მადლობა გამოუცხადა თანაგრძნობისათვის. ლუბემ მედალი მისცა და გადაეხვია იუბილიარს. დიდ ძალი ხალხი იდგა სორბონის წინ და ვაშას უყვიროდა ლუბეს და ბერტელოს.

ლონდონი. ასკვიტმა ოლტგემში სთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა ის ძლიერი უკმაყოფილება, რომელიც გამოიწვია გერმანიაში ერთის მინისტრის მოუფიქრებელმა სიტყვებმა. რასაკვირველია, მაინც და მაინც დიდი ყურადღება არ უნდა მიექცეს სხვების შეხედულებას, მაგრამ ქვეყნის კეთილი განწყობილება ეროვნულ ბალანსში უყურადღებოდ დატოვებული არ არის. ასკვიტმა დაუმატა, რომ იგი არ შეიმოსება სინანულის სამოსლით, რადგანაც დარწმუნებულია ინგლისის საქმის სიმართლეში და იმათ გულ-კეთილობაში, ვინც საომარ ველზე იღვწის. მაგრამ იგი სწუხს, რომ ინგლისის დამოკიდებულება დანარჩენ ქვეყანასთან ისეა წარმოდგენილი, თითქოს იგი წინააღმდეგი იყოს მშვიდობიანობისა.

რედაქტორი ივ. ჭყონია.
გამომცემელი ივ. ჯაბადარი

განცხადებანი

—

იყიდება სრულიად გაწყობილი **ორთქლის ქვაბი, ორთქლის მანქანა** და **დინამო-მაშინა**. პირობების შეტყობა შეიძლება სათავად აზნაურო მამულების სამმართველოს კონტორაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის სახლში, დილის 11 საათიდან 3 საათამდე. (6—3)

ფოთის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **ამ წლის 27 ნოემბერს,** შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით ქ. ფოთში მოხდება გარდაწყვეტილი საჯარო ვაჭრობა, რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით ქალაქ ფოთის ქუჩებისა და მოედნების განათება ნავთით 1902 წლის განმავლობაში. იმ მოვალეობათა უზრუნველ ყოფისათვის, რომელთაც მოიჯარადრე იკისრებს, უნდა წარუდგინოს გამგეობას გირაოდ ათი პროცენტი საიჯარადრო თანხისა, რომელიც უდრის 6000 მანეთს; გირაო უნდა წარედგინოს ნაღდ ფულად ან რუსეთის სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებით ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ აქციებით და ობლიგაციებით და სხვა ფასიან ქაღალდებით, რომელთა მიღება ნება დართულია სახაზინო იჯარების გირაოდ. პირობებისა და ქალაქის გეგმის გასინჯვა და სხვა ცნობათა მიღება შეიძლება გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღის 12-მდე. (ნ. 3—1).

ფოთის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **ამ წლის 11 დეკემბერს,** შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით, ქალაქ ფოთში მოხდება გარდაწყვეტილი საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით ქალაქ ფოთში ორ-სართულიანის ქვის სახლის აშენება, რომელიც უნდა შესდგებოდეს ოც და ხუთმეტ განყოფილებისაგან და რომელშიაც უნდა მოთავსდეს სამეგრელოს საქალაქო ექვს-კლასიანი სასწავლებელი; საიჯაროს საერთო ღირებულება—75,000 მანეთი. იმ მოვალეობათა უზრუნველ-ყოფისათვის, რომელთაც მოიჯარადრე იკისრებს, უნდა წარუდგინოს გამგეობას გირაოდ ათი პროცენტი საიჯარადრო თანხისა, რომელიც უდრის 6000 მანეთს; გირაო უნდა წარედგინოს ნაღდ ფულად ან რუსეთის სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებით ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ აქციებითა და ობლიგაციებით და სხვა ფასიან ქაღალდებით, რომელთა მიღება ნება დართულია სახაზინო იჯარების გირაოდ. პირობებისა და ქალაქის გეგმის გასინჯვა და სხვა ცნობათა მიღება შეიძლება გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღის 12-მდე. (ნ. 3—1).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Ноября 1901 г
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა